თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 5

ქ. თელავი 04.11.2021 წელი

თავმჯდომარეობდა: **დავით გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი; ლევან მრელაშვილი; ნანა ხვისტანი; ზურაბ ლილუაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი: **გიორგი ჩაბრაშვილი.** საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>**მოისმინეს:**</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> დ. გოგოშვილმა მოკლედ მიმოიხილა წარმოდგენილი ბიუჯეტის 9 თვის შედეგები. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს-**ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის განმავლობაში განისაზღვრა 42939.44 ათ. ლარის ოდენობით.

აქედან, შემოსავლების გეგმა 9 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 18130,14 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 19993,71 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 110,28% -ით გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 15350,83 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 109,39%-ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი დაგეგმილი იყო 11552,73 ათ. ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11694,90 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 101,23%-ით. ქონების გადასახადი შესრულდა 147,36%-ით. დაგეგმილი იყო 2481,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3655,92 ათ. ლარი.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 90,83%-ით. დაგეგმილი იყო 2094,17 ათ. ლარი და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1902,09 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 2002,24 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 2740,789 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 136,89%-ით. მათ შორის, პროცენტებიდან მიღებული შემოსავლები 9 თვეში შესრულდა 145,1%-ით. მიწის იჯარიდან და მართვაში

(უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შესრულდა გადაჭარბებით 164,16%-ით. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შესრულდა 140,52%-ით. სანებართვო მოსაკრებლიდან შემოვიდა 23,51 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 146,93%-ით.

ასევე გადაჭარბებით - 134,14%-ით შესრულდა ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლები. გეგმა - 905,94 ათ. ლარი, მიღებულმა შემოსავლებმა კი შეადგინა - 1215,19 ათ. ლარი.

გადაჭარბებით შესრულდა შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 124,85%. დაგეგმილი იყო 115,0 ათ. ლარი. შესრულებამ შეადგინა 143,58 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 133,20%-ით. დაგეგმილი იყო 2430,0 ათ. ლარი, მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 3236,77 ათ. ლარი.

სულ შემოსულობების გეგმა 9 თვის განმავლობაში შესრულდა 112,99%-ით. 2021 წლის 9 თვეში დაგეგმილი იყო 20560,14 ათ. ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავლებმა კი შეადგინა 23230.48 ათ. ლარი.

რაც შეეხება გადასახდელებს 9 თვის განმავლობაში შესრულდა 87.81-ით. დაგეგმილი იყო 3155,48 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2770,90 ათ. ლარი. წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის გეგმა შესრულდა 87,35%-ით. დაგეგმილი იყო 2999,48 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2620,06 ათ. ლარი.

სულ გადასახდელების გეგმა 9 თვის განმავლობაში შესრულდა 85,89% -ით. დაგეგმილი იყო - 24665,78 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 21184,78 ათ. ლარი.

2021 წლის 9 თვის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 78,48877 ათ. ლარი.

1. 70,93432 ათ. ლარი - თელავი მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში და სოფელ ქვ. ხოდაშენში მომხდარი ხანძრების შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლების ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოებისათვის;
2. 1,064 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. კისისხევში და სოფ. ქვ. ხოდაშენში მომხდარი ხანძრების შედეგად დამწვარი 3 საცხოვრებელი სახლის ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
3. 6,49045 ათ. ლარი - გზების მოხრეშვის სამუშაოებისათვის.

2021 წლის 01 ოქტომბრისთვის ნაშთმა შეადგინა 1955,14 ათ. ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან, მიზნობრივი ტრანსფერებიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი 10172,38 ათ. ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ნაშთის ცვლილებამ ამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა 2045,70 ათ. ლარი.

კომისიის წევრებმა დ. გოგოშვილმა, ზ. ლილუაშვილმა, ტ. დარეჯანიშვილმა - იქნებ მოხერხდეს ისე, რომ წლის ბოლოსთვის ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად მოხერხდეს ნაშთი სრულად ათვისება.

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ წარმოდგენილი მიმოხილვა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (შეფასება თან ერთვის).

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დ. გოგოშვილი

შ ე ფ ა ს ე ბ ა

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვის შესახებ

2021 წლის 04 ნოემბერს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა.

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის კვარტალური (9 თვის) გეგმა შემოსულობების ნაწილში შესრულდა 112,99%-ით (დაგეგმილი იყო - 20560,14 ათ. ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა - 23230,48 ათ. ლარი), რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება (გეგმა -25781,72 ათ. ლარი, შესრულება -20535,57 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 79,65%-ით).

გადასახდელების ნაწილში გეგმა შესრულდა 85,89%-ით. გეგმა - 24665,78 ათ. ლარი, შესრულება - 21184,78 ათ. ლარი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი. (გეგმა 27498,0 ათ. ლარი, შესრულება - 20945,63 ათ. ლარი, გეგმა შესრულება - 76,28%)

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული ნაშთის ათვისება მოხდება წლის ბოლოსთვის, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად.

„თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური (9 თვის) მიმოხილვა“ კომისიამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად.